1. დანართი **2**

გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. სტუდენტი ვალდებულია იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტი, რომელიც წერაზე გამოცხადდება თავსაბურით ან ისეთი ფორმით, რომელიც საშუალებას არ იძლევა დადგინდეს სტუდენტი იყენებს თუ არა ყურთსასმენს - გამოცდაზე არ დაიშვება.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ გამოცდაზე დაგვიანება არაუმეტეს 10 წუთისა, რის შემდეგ სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე. დაგვიანების შემთხვევაში, ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის გამოცდაზე დაშვება შესაძლებელია, თუმცა მას არ დაემატება საგამოცდო დრო.

P.S ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში (უნივერსიტეტიდან სხვადასხვა – კულტურულ, სამეცნიერო, სპორტულ ღონისძიებებზე მივლინება. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სტიქიური მოვლენები) სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს ფაკულტეტის უფლებამოსილ პირს ინდივიდუალურ გამოცდაზე დაშვებისათვის საგამოცდო ცენტრთან შუამდგომლობაზე.

2. **აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ყველა სხვა ნივთს მობილურ ტელეფონთან ერთად, საგამოცდო დარბაზში შესვლამდე სტუდენტი აბარებს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.**
3. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი, გარდა სტუდენტის პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა.
4. სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში, მოიხსნება გამოცდიდან.
5. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობას, **წერის დაწყებამდე,** დაზიანების არსებობის

შემთხვევაში, უნდა მიმართოს დამკვირვებელს. გამოცდის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.

6. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე ლურჯი კალმით.
7. სტუდენტი ვალდებულია არ გადაშალოს დამკვირვებლის მიერ დარიგებული საგამოცდო ფურცელი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. დასკვნითი, განმეორებითი, დავალიანებული სასწავლო კურსის გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 2 საათი, ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 აკადემიურ საათს (თუ ლექტორის მოთხოვნით სხვა დრო არ არის მითითებული ტესტზე).
8. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს ლექტორს/დამკვირვებელს.
9. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების გამო სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში, მოიხსნება გამოცდიდან.
10. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.
11. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს ამის შესახებ. არ გასწორდება იმ სტუდენტთა ნაშრომები, რომლებიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტენ მუშაობას.

12. სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ნამუშევარი სტუდენტმა უნდა გადასცეს დამკვირვებელს და მოაწეროს ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისში.

13. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია საგამოცდო დარბაზიდან გასვლა წერის სრულად დამთავრებამდე, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება).

14. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის ნამუშევარი არ შეფასდება.